საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/40

ქ. ბათუმი 19 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პირველი 50 მსმენელისათვის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის **,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის N01-02/59 ბრძანების, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების **პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“** პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს **2022 წლის 27 მაისის MES** 0220000548815 **გადაწყვეტილების** (საფუძველი - 27.05.2022 წ. N546693 ოქმის მე-6 ნაწილი; პროგრამის კოდი-01346; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5; მისაღები კონტიგენტი - 20), ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე საგრანტო პროექტთან ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსები ახალგაზრდებისთვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში **(საგრანტო ხელშეკრულება ENI/2020/417-316**) კოორდინატორის **ნინო ინასარიძის წერილის** (ბსუ-ში შემოსვლის N808316; 15.07.2022), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2022 წლის 14 ივლისის N808517 სამსახურებრივი ბარათის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/04, 19.07.2022წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ **პირველი 50**

მსმენელისათვის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებები თანდართული რედაქციით (დანართი 1).

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები“, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“ და ამ ცენტრის ,,მარეგულირებელი აქტები“.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის
19 ივლისის N07-01/70 გადაწყვეტილების
დანართი N1

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პირველი 50 მსმენელისათვის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებები

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის N01-02/59 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის **,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ (შემდეგში - პროგრამა) პირველი 50 მსმენელისათვის განხორციელების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:**

1. **გამოცხადდეს მიღება 2022 წლის განმავლობაში მსმენელთა 5 ნაკადისათვის** (ჯგუფში/ნაკადში 10 მსმენელის გათვალისწინებით), მსმენელთა სწავლის საფასურის განსაზღვრის გარეშე (მსმენელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, რომლის ფორმა დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის 2020წლის 23 ოქტომბრის N01-02/39 ბრძანებით, ,,სწავლის საფასურის“ მუხლში მიეთითოს ჩანაწერი ,,მსმენელი პროგრამაზე სწავლისათვის არ იხდის სწავლის საფასურს (საფუძველი: წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 19 ივლისის N07-01/40 გადაწყვეტილება)“).
2. **პროგრამაზე სწავლება განხორციელდეს ბსუ-ში,** საგრანტო პროექტის „ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსები ახალგაზრდებისთვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში (საგრანტო ხელშეკრულება ENI/2020/417-316) ფარგლებში ბსუ-ს თანადაფინანსებით შეძენილი **სადემონსტრაციო-სასწავლო ლაბორატორიის ბაზაზე,** ამ პროგრამის განხორციელებისათვის, 50 მსმენელის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის **თსუ-ს (პროექტის წამყვანი ორგანიზაცია/კოორდინატორის) მიერ გადმოცემული სასწავლო მასალების,** პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო **ბსუ-ს ადმინისტრაციული რესურსის** (მატერიალური, საინფორმაციო, ადამიანური) **გამოყენებით** და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების **ცენტრის ორგანიზებით.**
3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება – **1თ-ში 10 ევროს ექვივალენტის ლარი** (პროგრამით გათვალისწინებული - 60 საკონტაქტო საათი, სულ 5 ჯგუფისათვის შესასრულებელი შრომითი დატვირთვა - 300 საათი) ანაზღაურდეს საგრანტო ხელშეკრულების ENI/2020/417-316) ბიუჯეტის ფარგლებში, პროექტის კოორდინატორის **ნინო ინასარიძის წერილის** (ბსუ-ში შემოსვლის N808316; 15.07.2022) შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ (ბსუ-ს, დასაქმებულსა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას შორის დადებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად (შეთანხმების გაფორმების ორგანიზება

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ)).